საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარდოსანიძე სერგო სერგოს ძე

ვარდოსანიძე სერგო სერგოს ძე (დ. 2. I. 1956, სოფ. ზოვრეთი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004). 1979 დაამთავრა ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი). 1994-იდან იყო თბილ. სას. აკად. კათედრის გამგე. 1990–2004 მუშაობდა ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმწ. პედაგოგიურ უნ-ტში – იყო საქართვ. ისტ. ფაკ-ტის დეკანი, კათედრის პროფესორი, პრორექტორი სამეცნ. დარგში. 2005-იდან კავკასიის უნ-ტის, 2009-იდან კი საპატრიარქოსთან არსებული წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. უნ-ტის სრული პროფესორია, 2010-იდან – ამავე უნ-ტის რექტორი, ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტის დეკანი. ვ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართვ. ეკლესიის ეპარქიები, რუს. დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობისა და ეპარქიის საკითხები, საქართვ. და სომხ. ეკლესიის ურთიერთობა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია და მისი მღვდელმთავრები. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.